## ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

**დ. მესტია** **02.08.2023 წ.**

ერთის მხრივ, შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლა“ (შემდგომში - დინამო) წარმოდგენილი დირექტორის ლევან გვანცელაძის სახით და მეორეს მხრივ, მესტიის მუნიციპალიტეტის მერია (შემდომში - მუნიციპალიტეტი), წარმოდგენილი მერის - კაპიტონ ჟორჟოლიანის სახით შემდგომში ერთად „მხარეები“ გამოვხატავთ რა ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის სურვილს ხელს ვაწერთ წინამდებარე მემორანდუმს და ვთანხმდებით შემდეგზე:

### პრეამბულა

მხარეები ხელმძღვანელობენ ახალგაზრდა ფეხბურთელების, საფეხბურთო გუნდების, მწვრთნელების წვრთნისა და განვითარების სურვილით.

გამომდინარე იქიდან, რომ „დინამო თბილისი“ წარმოადგენს ახალგაზრდა ფეხბურთის განვითარების მხრივ დიდი გამოცდილების მქონე საფეხბურთო კლუბს, რომლის სახელსაც უკავშირდება თანამედროვე ინფრასტრუქტურით და პროფესიონალი მწვრთნელებით გამორჩეული ბავშვთა აკადემიის დაარსება, მხარეები თვლიან, რომ „დინამო თბილისის“ და მესტიის მუნიციპალიტეტის ურთიერთთანამშრომლობა მნიშვნელოვან როლს ითამაშებს რეგიონში ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებაში, ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელების სპორტულ განათლებასა და პროფესიონალ ფეხბურთელებად ჩამოყალიბებაში.

ზემოაღნიშნულის მხედველობაში მიღებით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ გააფორმონ წინამდებარე მემორანდუმი:

### მუხლი 1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანს წარმოადგენს დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლის დაფუძნება მესტიის მუნიციპალიტეტის ჩართულობით და მხარდაჭერით, 6 წლიდან 12 წლამდე ასაკობრივი გუნდების შემადგენლობით. რეგიონში დინამოს საფეხბურთო სკოლის დაფუძნების მიზანს წარმოადგენს სასკოლო ასაკის ბავშვების მიერ ჯანსაღი ცხოვრების წესისა და სპორტის მნიშვნელობის გაცნობიერების, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისა და ხელშეწყობის, მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების და ფეხბურთის პოპულარიზაციის მიზნით მხარეთა ურთიერთთანამშრომლობას.

### მუხლი 2. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

2.1 მხარეები  აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ: წარმოადგენენ უფლებაუნარიან და ქმედუნარიან პირ(ებ)ს, რომელსაც მემორანდუმის დადების მიზნით მოპოვებული აქვთ ყველა საჭირო თანხმობა, ნებართვა ან/და დავალება (მინდობილობა);

2.2  მათ მიერ მემორანდუმის დადება ან/და შესრულება არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, საერთაშორისო ნორმებს, მხარეთა დებულებებს, წესდებებს, გადაწყვეტილებებს, სადამფუძნებლო ან/და სხვა სახის დოკუმენტებს, არ იწვევს სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობებით ნაკისრი/განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევას.

2.3.მემორანდუმის დადების თარიღისათვის მხარეთათვის არ არის ცნობილი ფორს-მაჟორის არსებობის შესახებ, რომელიც შეუძლებელს გახდის მხარეთა მიერ ამ მემორანდუმით ნაკისრი ვადამოსული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას;

2.4. მემორანდუმის დადების მიზნით, წარდგენილი ინფორმაცია არის უტყუარი და ზუსტი, ხოლო დოკუმენტები (მათ შორის  წესდება, სადამფუძნებლო დოკუმენტ(ებ)ი, დავალება (მინდობილობა) და სხვა) წარმოადგენს სრულ და მოქმედ რედაქციას;

2.5. მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მეორე მხარეს ნებისმიერი გარემოებ(ებ)ის შესახებ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მემორანდუმში მითითებული განცხადებებისა და გარანტიების ან/და მემორანდუმით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევა.

2.6.  მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ მემორანდუმს დებენ განცხადებებსა და გარანტიებზე დაყრდნობით და თვლიან მათ მემორანდუმის პირობებად. შესაბამისად, მემორანდუმით გათვალისწინებული განცხადებების და გარანტიების დარღვევა საკმარის საფუძველს წარმოადგენს ამ მემორანდუმზე ცალმხრივი უარის სათქმელად.

**მუხლი 3. მხარეთა ვალდებულებები:**

**3.1. დინამო ვალდებულია:**

3.1.1.უზრუნველყოს სპორტული ეკიპირება (სავარჯიში და სათამაშო ფორმები, მწვრთნელების  ეკიპირება);

3.1.2. ფეხბურთელების  ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლი;

3.1.3. მწვრთნელთა განათლება, კვალიფიკაციის ამაღლება;

3.1.4. წარჩინებული ფეხბურთელების დაწინაურება დინამოს აკადემიაში;

3.1.5. მინი ტურნირების და ჩემპიონატების ორგანიზება;

3.1.6.დინამოს სავარჯიშო მეთოდოლოგიის დამკვიდრება;

3.1.7. რეგიონალური ჩემპიონატების/ტურნირების ფინანსური მხარდაჭერა;

3.1.8.  დინამოს საფეხბურთო სკოლის პროექტში ჩართული მწვრთნელებისათვის ანაზღაურების და საბონუსე სისტემის დანერგვა;

3.1.9.  უზრუნველყოს სკოლის ფეხბურთელების დინამოს ძირითადი გუნდის საშინაო მატჩებზე დასწრება;

3.1.10. დინამოს სელექციონერების მიერ სკოლის ფეხბურთელების შერჩევა;

3.1.11.სფფ-ს სარეგისტრაციო ბაზაში სკოლის ფეხბურთელების შეყვანა,  საკომპენსაციო (FIFA ს რეგულაციების თანახნად) თანხის დარეგულირება.

**3.2. მუნიციპალიტეტი ვალდებულია:**

3.2.1.უზრუნველყოს საფეხბურთო სკოლა საჭირო ინფრასტრუქტურით;

3.2.2. შესაბამისად მოუაროს სავარჯიშო და სათამაშო მოედნებს;

3.2.3. უზრუნველყოს სკოლა სპორტული ინვენტარით: (ბურთები, დგარები, გადასაცმელები, კარებები და ა.შ.);

3.2.4. სატელევიზიო და სოციალური ქსელებით მხარდაჭერა; (ურთიერთ შეთნხმებით);

3.2.5. უზრუნველყოს ადგილობრივი ტურნირების მხარდაჭერა.

**მუხლი 4. მემორანდუმის ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა:**

4.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 5 (ხუთი) წლის ვადით

4.2. მხარეები თანხმდებიან, რომ მემორანდუმის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფენ ამ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას.

**მუხლი 5. კომუნიკაცია**

5.1.მხარეთა შორის ნებისმიერი ურთიერთობა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და მიეწოდოს მხარეს ამ მემორანდუმში საკონტაქტო მონაცემებზე პირადად, კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებებით, იმის გათვალისწინებით, რომ: პირადად ან/და კურიერის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება მიმღები მხარის კანცელარიაში შეტყობინების რეგისტრაციის დღეს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნისას, მიღების დამადასტურებელი საპასუხო ელექტრონული წერილის გაგზავნის დღეს;

5.2.კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება მხარისათვის ჩაბარების დღეს, ხოლო აღნიშნული ჩაბარების დადასტურების არ არსებობის შემთხვევაში მხარის მისამართზე შეტყობინების ნებისმიერი პირისთვის ჩაბარებიდან მომდევნო კალენდარულ დღეს;

5.3.ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება მიმღები მხარის ელექტრონული ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურის (ადრესატის ელექტრონულ ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს. ხოლო ასეთი დასტურის არ არსებობის შემთხვევაში, მომდევნო კალენდარულ დღეს;

5.4. იმ შეთხვევაში თუ მხარე მემორანდუმით გათვალისწინებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის არსებული ნებისმიერი რეკვიზიტის) ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს მეორე მხარე ან/და უშუალოდ ან საკონტაქტო პირის საშუალებით უარს განაცხადებს მემორანდუმის საფუძველზე გაგზავნილი შეტყობინების მიღებაზე, განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

**მუხლი 6. მოქმედი სამართალი და დავების გადაწყვეტა**

6.1.წინამდებარე მემორანდუმი განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
6.2. ნებისმიერი დავა, რომელიც ეხება ან გამომდინარეობს წინამდებარე მემორანდუმიდან გადაწყდება სასამართლოს მიერ.

**მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა**

7.1.მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე მემორანდუმის შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, ამ მემორანდუმითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალიწინებული წესით;

**მუხლი 8. მემორანდუმის ვადამდე შეწყვეტა**

8.1. ეს მემორანდუმი მოქმედებს 5 (ხუთი) წლის ვადით და ის ვადამდე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით.

**მუხლი 9. კონფიდენციალურობა**

9.1. მხარეები ვალდებულნი არიან არ გაამჟღავნონ წინამდებარე მემორანდუმთან, მის დებულებებთან, მოლაპარაკებებთან, ტრანზაქციასთან და ზოგადად გარიგებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა და მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობით.
9.2. მხარეები უზრუნველყოფენ წინამდებარე მუხლის დებულებების შესრულებას მათი დასაქმებულების და ნებისმიერი იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს წვდომა მხარეების ხსენებულ ინფორმაციაზე.
9.3. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული ვალდებულებები ძალაში რჩება წინამდებარე მემორანდუმის ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემდეგაც.
9.4. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს წინამდებარე მემორანდუმის დარღვევის გამო მიყენებულ ზარალს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის პირობების შესაბამისად.

**მუხლი 10. სხვა პირობები**

10.1 წინამდებარე მემორანდუმის მხარეები ადასტურებენ, რომ მემორანდუმის შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა მისი შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან. ერთ–ერთი მხარის მიერ მემორანდუმით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.

10.2. მემორანდუმის რომელიმე დებულების ბათილად ცნობა, არ იწვევს მთელი მემორანდუმის ან მისი სხვა დებულებების ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა მემორანდუმით ან მასთან დაკავშირებული (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

10.3.წინამდებარე მემორანდუმში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები, მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

10.4. მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემათ მხარეებს.

**მხარეთა რეკვიზიტები.**

| | |
|---|---|
| მესტიის მუნიციპალიტეტის მერია | შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლა“ |
| მისამართი: დ. მესტია, სეტის მოედანი N1. | მისამართი: ქ. თბილისი, ლუბლიანას 62 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: 235895046 | საიდენტიფიკაციო კოდი N402213270 |
| მესტიის მუნიციპალიტეტის მერი | საფეხბურთო სკოლის დირექტორი |
| კაპიტონ ჟორჟოლიანი | ლევან გვანცელაძე |